თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

16.01.2017 15:57:19

N248

შპს ,,ზიმოს"

გენერალურ დირექტორს ზ. კიკნაძეს

ქ.თბილისი, ოდესის ქ.N 8

ბატონო ზურაბ,

Georgian Railway
EST.1872

სს ,,საქართველოს რკინიგზა"-სა და შპს ,,ზიმო"-ს შორის 2016 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული #შს/16-369 ხელშეკრულების თანახმად, თქვენმა კომპანიამ 2017 წლის 21 იანვრამდე უნდა განახორციელოს ბათუმი-სამტრედიის ხაზზე, ჩაქვი-ქობულეთის გადასარბენზე, კმ19 პკ8-ში არსებული უფუნქციო რკინაბეტონის გზაგამტარის დემონტაჟის სამუშაოები.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

ინფრასტრუქტურის დირექტორი

ვ. ხორავა

შპს ზიმო
ZIMO LTD

21 აპრილი 2017
№ზ-115/17

სააქციო საზოგადოება
„საქართველოს რკინიგზის"
ინფრასტრუქტურის დირექტორს
ბატონ ვასილ ხორავას

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ შპს „ზიმო"-მ დაასრულა სს „საქართველოს რკინიგზასა" და შპს „ზიმო"-ს შორის 2016 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული №შს/16-369 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბათუმი–სამტრედიის ხაზზე, ჩაქვი-ქობულეთის გადასარბენზე, კმ.19 პკ.8-ში არსებული უფუნქციო რკინა-ბეტონის გზაგამტარის დემონტაჟი.

გთხოვთ უზრუნველყოდ სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

პატივისცემით,

შპს „ზიმო"-ს გენ. დირექტორი ზ. კიკნაძე

მიცკევიჩის ქ.25ბ, თბილისი 0160, საქართველო
ს/კ 211 338 015
ტელ/ფაქსი: (+995 32) 262 22 32/33
ელ-ფოსტა: zimo@zimo.ge
www.zimo.ge

25b, Mitskevich Street, Tbilisi 0160, Georgia
ID 211 338 015
tel/fax: (+995 32) 262 22 32/33
e-mail: zimo@zimo.ge
www.zimo.ge

შპს ზიმო
ZIMO LTD

27 თებერვალი 2017

№ზ-060/17

სააქციო საზოგადოება
„საქართველოს რკინიგზის"
ინფრასტრუქტურის დირექტორს
ბატონ ვასილ ხორავას

ბატონო ვასილ,

როგორც თქვენ მოგეხსენებათ შპს „ზიმო"-მ სს „საქართველოს რკინიგზასთან" 2016 წლის 21 დეკემბერს გააფორმა ხელშეკრულება №შს/16-369, ბათუმი-სამტრედიის ხაზზე, ჩაქვი-ქობულეთის გადასარბენზე მე-19 კმ-ზე არსებული უფუნქციო რკინაბეტონის სარკინიგზო ხიდის დემონტაჟის თაობაზე. თქვენს წერილზე №1044 21.02.2017 გაცნობეთ, რომ მიუხედავად ზამთრის, კლიმატური პირობების გამო (დიდთოვლიანობა, ყინვები) ჩვენ მოსამზადებელი სამუშაოები დავიწყეთ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. კერძოდ: გავაფორმეთ შეთანხმებები საპატრულო პოლიციასთან, საავტომობილო გზების დეპარტამენტთან და ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან, რისთვისაც საჭირო იყო გარკვეული დრო.

აღნიშნულ ობიექტზე მალის ნაშენის სადემონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად ჩვენს მიერ ადგილზე მობილიზებულ იქნა ყველა საჭირო მანქანა-მექანიზმები და მუშახელი პარალელურად საავტომობილო მოძრაობა გადაირთო დროებით შემოსავლელ გზაზე. სამუშაოების დაწყებამდე ჩვენ ვიხელმძღვანელეთ თქვენი სამსახურის მიერ გადმოცემული ტექნიკური მასალებით, საიდანაც ჩანდა, რომ რკინაბეტონის კოჭის წონა შეადგენდა 32.9 ტონას. გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტიც, რომ ლითონის საყრდენი ნაწილები ერთმანეთში ჩაჟანგებული-ჩაანკერებული იყო, ხოლო ქვედა ბალანსირები ბეტონში ჩაფლული. მათი საყრდენი ნაწილებიდან ახსნა სათითაოდ მოხერხდა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა რკ. ბეტონის კოჭის წონამ ფაქტიურად შეადგინა ორჯერ მეტი, რაც საპასპორტო მონაცემებით იყო წარმოდგენილი, რის გამოც მალის ნაშენის ჩამოღება ვერ მოხერხდა კოჭის ფაქტიური წონის სიმძიმის გამო. ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო კოჭის დემონტაჟი ჩაიშალა.

დღეისათვის საჭირო შეიქმნა წარმოების ხელახალი დაგეგმვა, რაც გამოიწვევს ვადების გადაწევას ორ თვემდე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ზემოთაღნიშნული გარემოებები და შეგვითანხმოთ ვადები.

პატივისცემით,

შპს „ზიმო"-ს გენ. დირექტორი **ზ. კიკნაძე**

მიცკევიჩის ქ.25ბ, თბილისი 0160, საქართველო
ს/კ 211 338 015
ტელ/ფაქსი: (+995 32) 262 22 32/33
ელ-ფოსტა: zimo@zimo.ge
www.zimo.ge

25b, Mitskevich Street, Tbilisi 0160, Georgia
ID 211 338 015
tel/fax: (+995 32) 262 22 32/33
e-mail: zimo@zimo.ge
www.zimo.ge

სს "საქართველოს რკინიგზა"
ადმინისტრაციული დირექტორის კონტროლის, [illegible] და ინსპექტირების აპარატი
27 02 2017 წ.
N 1851

შპს ზიმო
ZIMO LTD

17 თებერვალი 2017

№ზ-049/17

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს
ინფრასტრუქტურის დირექტორს
ბატონ ვასილ ხორავას

ბატონო ვასილ

თქვენი 2017 წლის 24 იანვრის # 356 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის დემონტაჟისთვის, ჩვენს მიერ ადგილზე მობილიზებული იქნა ყველა საჭირო მანქანა-მექანიზმები და მუშახელი, პარალელურად, საავტომობილო მოძრაობა გადაირთო დროებით შემოსასვლელ გზაზე. დემონტაჟის დაწყებისას აღმოჩნდა, რომ რკინაბეტონის კოჭი, რომელიც თქვენი მონაცემების მიხედვით უნდა ყოფილიყო 32,4 ტონა, სინამდვილეში აღმოჩნდა გაცილებით მძიმე, დაახლოებით, 70 ტონა.

აღნიშნულ გარემოებებს თან დაერთო მძიმე კლიმატური პირობები(დიდთოვლობა), რის გამოც სამუშაოების წარმოება გახდა შეუძლებელი.

ამ ფაქტის გამო, საჭირო ხდება სამუშაოების წარმოების ხელახლა დაგეგმვა, რაც გამოიწვევს მათი შესრულების ვადებისა და ღირებულების შეცვლას.

ველით თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

ზურაბ კიკნაძე
გენერალური დირექტორი

სს "საქართველოს რკინიგზა"
გენერალური დირექტორი კონტროლის,
მონიტორინგისა და ინსპექტირების აპარატი
21 02 2017
N 1658

მიცკევიჩის ქ.25ბ, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ/ფაქსი: (+995 32) 262 22 32/33
ელ-ფოსტა: zimo@zimo.ge
www.zimo.ge

25b, Mitskevich Street, Tbilisi, 0160, Georgia
tel/fax: (+995 32) 262 22 32/33
e-mail: zimo@zimo.ge
www.zimo.ge

თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

24.02.2017

N 1127

შპს ,,ზიმო"-ს გენერალურ დირექტორს

ბ-ნ ზ. კიკნაძეს

ბატონო ზურაბ,

GR საქართველოს რკინიგზა 1872-დან

თქვენი, 2017 წლის 17 თებერვლის #ზ-049/17 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული გზაგამტარის დემონტაჟთან დაკავშირებით სს ,,საქართველოს რკინიგზა"-სა და შპს ,,ზიმო"-ს შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2016 წლის 21 დეკემბერს, ხოლო გზაგამტარის საპასპორტო მონაცემები, ჩვენს მიერ მოწოდებული იქნა 2016 წლის 7 ნოემბერს. აღნიშნული პერიოდი სავსებით საკმარისი იყო მონაცემების გადასამოწმებლად და დასაზუსტებლად, მითუმეტეს, რომ მოცემული მალის ნაშენები დამზადებულია ტიპიური პროექტით და მათი ტექნიკური პარამეტრების დადგენა სირთულეს არ წარმოადგენდა.

წერილში მოყვანილი ფაქტთან დაკავშირებით, რომ თითქოს, რკინაბეტონის კოჭის წონამ ნაცვლად პასპორტში მითითებული 32.9ტ-სა შეადგინა დაახლოებით 70ტ. გაცნობებთ, რომ მოცემული გზაგამტარზე გამოყენებულია ორკოჭოვანი მალის ნაშენები, რომელთა საერთო წონა არის ჯამში 70ტ-მდე (და არა თითოეული კოჭის).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნაცვლად 100 ტონიანი ამწისა, რომლის ობიექტზე და უკან მობილიზებასა და ადგილზე მუშაობაზე, წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში გაწერილია 29000 ლარი, თქვენს მიერ ადგილზე მობილიზებული იქნა გაცილებით მცირე ტვირთამწეობის (40 ტ-მდე) ამწე, რომლითაც რა თქმა უნდა, ფაქტიურად შეუძლებელი იყო დემონტაჟის განხორციელება.

რაც შეეხება მძიმე კლიმატურ პირობებს, ხელშეკრულების 12.4 პუნქტის მიხედვით ფორს-მაჟორული მოვლენის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული, აღნიშნული გარემოების არსებობის და ხანგრძლივობის დამადასტურებელი ცნობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სს ,,საქართველოს რკინიგზა" ვერ ხედავს სამუშაოების შესრულების ვადების და ღირებულების შეცვლის სერიოზულ საბაბს და მოგმართავთ თხოვნით, დროულად დაასრულოთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

პატივისცემით

ინფრასტრუქტურის დირექტორის მ/მ

კ. გუდიაშვილი

თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102
15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia
Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

24.01.2017

N 356

შპს ,,ზიმო"

გენერალურ დირექტორს

ბ-ნ ზ. კიკნაძეს

ქ.თბილისი, ოდესის ქ.N 8

ბატონო ზურაბ,

Georgian Railway EST.1872

სს ,,საქართველოს რკინიგზა"-სა და შპს ,,ზიმო"-ს შორის 2016 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული #მს/16-369 ხელშეკრულების თანახმად, თქვენს კომპანიას უნდა განეხორციელებინა ბათუმი-სამტრედიის ხაზზე, ჩაქვი-ქობულეთის გადასარბენზე, კმ19 პკ8-ში არსებული უფუნქციო რკინა-ბეტონის გზაგამტარის დემონტაჟის სამუშაოები, რომლებიც უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში ანუ 2017 წლის 20 იანვარს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ხელშეკრულების 14.1 პუნქტის მიხედვით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გეკისრებათ პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,01% და მოგვაწოდოთ ინფორმაცია სამუშაოების შესრულების შესახებ.

პატივისცემით,

ინფრასტრუქტურის დირექტორი ვ. ხორავა